NEWSLETTER (March, 2015)

ღია მმართველობის ინდექსი 2015 - საქართველოს მიღწევები და გამოწვევები



26 მარტს გამოქვეყნდა „მსოფლიო სამართლის პროექტის“ (World Justice Project) 2015 წლის ღია მმართველობის საერთაშორისო ინდექსი (Open Government Index), ღია მმართველობის ინდექსის მიხედვით, საქართველომ 0.61-იანი შეფასება მიიღო (უმაღლესი 1 ქულიდან) და ამ შედეგით, მან აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 13 ქვეყანას შორის პირველი პოზიცია დაიკავა, მსოფლიო მასშტაბით კი ღია მმართველობის თვალსაზრისით 102 ქვეყანას შორის 29-ე ადგილზეა.

საქართველომ ყველაზე მაღალი შეფასება (0.70 - მსოფლიოში მე-16 ადგილი) მიიღო ოთხი კომპონენტიდან ერთ-ერთში - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება.

IDFI უკვე მეექვსე წელია აქტიურად მუშაობს საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საქართველოში.

ნეპოტიზმის ნიშნები კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში

IDFI-იმ კომუნიკაციის ეროვნული კომისიიდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოამზადა კვლევა, რომელშიც ნათლად ჩანს კომისიაში არსებული ხარვეზები კადრების დანიშვნის კუთხით.

2012 წლიდან დღემდე კომისიის აპარატში მიიღეს 51 ახალი თანამშრომელი. აღმოჩნდა, რომ დასაქმებულთა შორის რამდენიმე მათგანი პარლამენტის წევრის ნათესავია. IDFI ეცადა გამოგვერკვია, თუ რამდენად ობიექტურად ხდება სამსახურში მიღება კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში და აქვს თუ არა ადგილი პროტექციასა თუ ნეპოტიზმს ამ უწყებაში.

IDFI-ს კვლევას გამოეხმაურა GNCC და სპეციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს სრულიად იზიარებს.

პეტიცია საპარლამენტო ფრაქცია ქართული ოცნება - მრეწველების ლიდერების მიერ ბოლო დროს გაკეთებულ ანტი-დასავლურ განცხადებებზე

IDFI ერთ-ერთი პირველი ხელმომწერილი იყო პეტიციის, რომელსაც მოგვიანებით 350-ზე მეტი ადამიანი და 40-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია შეუერთდა.

ხელმომწერი პირები და ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ ლიდერების, ბატონი გოგი თოფაძისა და ბატონი ზურაბ ტყემალაძის მიერ გამოთქმული ანტი-დასავლური მოსაზრებები ატარებს ქვეყნისთვის საგანგაშო და საზიანო ხასიათს. პეტიციის ხელმომწერები მოუწოდებენ „ქართული ოცნების“ კოალიციურ და პოლიტიკურ საბჭოებს ადეკვატური რეაგირება მოახდინონ “ქართული ოცნების” კოალიციური საბჭოს წევრების განცხადებებზე.

რამდენად მწვავედ დგას მართლმსაჯულების ხარვეზების აღმოფხვრის საჭიროება საქართველოში

IDFI-მ საქართველოს პროკურატურისთვის გაგზავნილ განცხადებასა და შესაბამისად მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით მოამზადა ანალიზი, თუ რა ხარვეზები არსებობს და რამდენად მწვავედ დგას მათი აღმოფხვრის საჭიროება საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის იანვრამდე საქართველოს პროკურატურაში სულ შევიდა 52 530 საჩივარი/განცხადება, რომლებიც საჯარო მოხელეთა მხრიდან მოქალაქეთა წინააღმდეგ განხორციელებულ უკანონო ქმედებებს შეეხებოდა, აქედან 10 379 განცხადების შემთხვევაში მოთხოვნილ იქნა კონკრეტულ ფაქტებზე გამოძიების დაწყება.

ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია ოჯახური დანაშაულის (კერძოდ მკვლელობების) შესახებ საქართველოში



IDFI-მ 2014 წლის დეკემბერში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა განცხადებით, მოეწოდებინა სტატისტიკური ინფორმაცია რეგისტრირებული და გახსნილი ოჯახური დანაშაულის შემთხვევების შესახებ.
მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ 2014 წლის პირველი 11 თვის განმავლობაში მკვლელობის შემთხვევებს შორის მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობების პროცენტული წილი.

პროექტის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში განხორციელების ანგარიში

პროექტს „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში“ IDFI 2014 წლის აპრილიდან ახორციელებს. პროექტის ფარგლებში IDFI-მ არაერთ სასიკეთო ცვლილებას შეუწყო ხელი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მიმართულებით. საბოლოო ანგარიშში მოკლედაა შეჯამებული ყველა ის აქტივობა, რაც პროექტის ფარგლებში ინსტიტუტმა განახორციელა.

IDFI-ს აზერბაიჯანული პარტნიორი ორგანიზაციის დირექტორი აგვისტოდან შვეიცარიის საელჩოს აფარებს თავს

IDFI უერთდება საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციათა მოწოდებებს შეწყდეს სისხლის სამართლებრივი დევნა IRFS-ის დირექტორის წინააღმდეგ და იმედს იტოვებს, რომ უახლოეს მომავალში ემინ ჰუსეინოვს საშუალება მიეცემა დაუბრუნდეს საკუთარ საქმიანობას და გააგრძელოს მუშაობა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის განცხადება პალიტრა TV -ს გავრცელებასთან დაკავშირებით

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი უერთდება კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის განცხადებას პალიტრა TV-ს გავრცელებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მოლაპარაკებებს ამ უკანასკნელსა და მაგთიკომს შორის.

კოალიციის “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის”აქტივობები

კოალიციამ “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართმსაჯულებისათვის” (რომლის წევრიც გახლავთ IDFI) გააკეთა განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის წესის შესახებ. მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი წარიმართოს იმგვარად, რომ საზოგადოებაში არ განჩნდეს კითხვები ამ პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.
კოალიცია გამოეხმაურა მთავრობის ინიციატივას მართლმსაჯულების ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებითაც, რომელიც ეხება 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ მთავარ პროკურატურაში შესულ მოქალაქეთა ათასობით საჩივარს და მათზე ეფექტური სამართლებრივი მოქმედებების დაწყებას.
ასევე, კოალიცია მიესალმება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის პროცესის დროულად დასრულებას და ულოცავს უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს საპასუხისმგებლო პოზიციის დაკავებას.

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI
Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia.
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research